ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4984154

ნომერი: AR1752849

თარიღი : 09.06.2020

გაცემის თარიღი : 15.06.2020

გაცნობის თარიღი : 15.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, იური გაგარინის ქუჩა, N 20ა, ქალაქი თბილისი, იური გაგარინის ქუჩა, N 22, ქალაქი თბილისი , გელოვანის ქუჩაზე "საქენერგო"-ს სადისპეჩერო სამმართველოს მიმდებარედ, (ნაკვეთი N3/2);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე თევზაძე პ/ნ 37001021100
- თბილისი წყნეთის ქ. კორ. 1 ბ. 151

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 მარტის №142 დადგენილებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და მოქმედი რედაქციის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებულ ობიექტზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენებას, ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, აკრძალულია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წლის 09 ივნისის AR1752849 განაცხადით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ისეთი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ობიექტის ფუნქციის ცვლილებას.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მსგავსი სახით გაპში ცვლილება არ არის დასაშვები და ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა უნდა დაიწყოს თავიდან, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.